მოსწავლეთა ჩართულობა შიდა სასკოლო შეფასების პროცესში

ქეთი დევდარიანი

ირა ძირკვაძე

აიშა ბადალოვა

სამაგისტრო პროექტის ანგარიში წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების მიერ ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე განათლების ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

პროგრამა: განათლების ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მანანა რატიანი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021 წელი

მადლობა

მადლობას ვუხდით სსიპ მამია ფანცულაიას სახელობის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ფარცხანაყანევის №2 საჯარო სკოლის დირექტორს, ბატონ ვარდენ ნიქაბაძეს, გაწეული დახმარებისა და აქტიური თანამშრომლობისათვის. ასევე მადლობას ვუხდით ამავე სკოლის მე-7 კლასის ყველა პედაგოგს, მოსწავლეებსა და ხარისხის ჯგუფს, რომლებმაც აქტიურად ითანამშრომლეს ჩვენთან, პრაქტიკის კვლევის ფარგლებში.

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით ჩვენი პრაქტიკის კვლევის ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს, ქალბატონ მანანა რატიანს, რომლიც აქტიურად გვაძლევდა რეკომენდაციებს და გვეხმარებოდა კვლევის თითოეული ეტაპის სწორად წარმართვისთვის.

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოყენებულ, გამოსაქვეყნებლად გამზადებულ ან დასაცავად წარსადგენ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

ირა ძირკვაძე

ქეთი დევდარიანი

აიშა ბადალოვა

22/06/2021

აბსტრაქტი

წინამდებარე კვლევა ეხება მოსწავლეთა ჩართულობას შიდა სასკოლო შეფასების პროცესში, რომელიც ჩავატარეთ სსიპ მამია ფანცულაიას სახელობის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ფარცხანაყანევის №2 საჯარო სკოლაში. ჩვენი კვლევის მიზანი იყო სამიზნე სკოლის პედაგოგებსა და მოსწავლეებთან ერთად მასწავლებელთა შეფასების ეფექტიანი სისტემის შემუშავება. პრაქტიკის კვლევის პროცესში გამოვიყენეთ როგორც რაოდენობრივი მეთოდით შედგენილი კითხვარები მასწავლებლებისთვის, ასევე თვისებრივი მეთოდი - მოსწავლეთა და მასწავლებლებთან ფოკუს ჯგუფები, სიღრმისეული ინტერვიუ მასწავლებლებსა და დირექტორთან. აღნიშნული მეთოდების გამოყენებით დავადგინეთ, თუ რა მიმართულებით სურდა სკოლას შიდა შეფასების პროცესის განვითარება. სასკოლო საზოგადოებასთან თანამშრომლობით შევიმუშავეთ მასწავლებელთა შეფასების პროცესში მოსწავლეების ჩართვის მექანიზმი. შეგროვებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე შევადგინეთ და განვახორციელეთ ის ინტერვენციები, რომლებიც, ჩვენი აზრით, უფრო მეტად შეუწყობდა ხელს მოსწავლეთა შეფასების პროცესში ჩართვას. ინტერვენციის შეფასების მიზნით, ჩავატარეთ ჩაღრმავებული ინტერვიუები მასწავლებლებთან და ფოკუს ჯგუფი მოსწავლეებსა და ხარისხის ჯგუფის წევრებთან. ინტერვენციების განხოციელებით მიღებული შედეგების ანალიზის შედეგად შევადგინეთ მოსწავლეთა კითხვარი, შევიმუშავეთ რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინებაც, ჩვენი მოსაზრებით, სკოლას დაეხმარება სამომავლოდ შემუშავებული კითხვარების ეფექტიანად გამოყენებაში.

საკვანძო სიტყვები: შიდა შეფასება, სკოლაში ხარისხის მართვა, მოსწავლეთა ჩართულობა შეფასების პროცესში, მოსწავლეთა გამოკითხვა.

Abstract

The topic of the master's thesis is about the involvement of students in the internal school evaluation process, which we conducted in Tskaltubo Municipality, Partskhanakanebi, in 2nd Public School under name of a legal entity under public law Mamia Pantsulaia. The aim of our research, together with the teachers and students of the target school, was to develop an effective system of teacher evaluation. In the action research process, we used both quantitative questionnaires for teachers and a qualitative method - focus groups, with students and teachers, in-depth interviews with teachers and principals. Using these methods, we identified the direction in which the school wanted to develop the internal evaluation process. In collaboration with the school community, we have developed a mechanism for involving students in the teacher evaluation process. Based on the analysis of the collected information, we formulated and implemented the interventions that, in our opinion, would further enhance the involvement of students in the assessment process. In order to evaluate the intervention, we conducted in-depth interviews with teachers and conducted a focus group with students and members of quality group. Apart from the analysis of the results obtained through the implementation of the interventions, we developed a student questionnaire, developed recommendations, the consideration of which, in our opinion, will help the school to use the developed questionnaires effectively in the future.

Keywords: internal assessment, school quality management, student involvement in the assessment process, students surveys.